კოალიციის დეკლარაცია

მრავალი თაობის ხანგრძლივი ბრძოლისა და ძალისხმევის შედეგად დღეს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა. ახლა ჩვენი ვალია დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გაგრძელება, თავისუფლების შენარჩუნება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა.

თავისუფლება ადამიანის ბედნიერი და ღირსეული ცხოვრების ერთადერთი პირობაა. თავისუფალი ქვეყანა პატივს სცემს თითოეული მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, აძლევს მას შესაძლებლობების რეალიზების გარანტირებულ ასპარეზს, იცავს მის პირად ცხოვრებას, საკუთრებას და სიცოცხლეს, უზრუნველყოფს მისი წარმატებისა და კეთილდღეობის მისაღწევად უსაფრთხო გარემოს.

თავისუფლებისთვის ბრძოლა უდიდესი პასუხიმგებლობაა და ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის ურყევ ნებას, დაუღალავ შრომასა და სხვადახვა გამოწვევაზე შესაბამისი რეაგირების უნარს მოითხოვს. სწორედ ამ ბრძოლით ერთვება საქართველო ცივილიზაციის გადარჩენისა და განვითარების პროცესში და იმკვიდრებს ადგილს თავისუფალ ერთა მსოფლიო თანამეგობრობაში.

სახელმწიფოს მშენებლობის უთვალავ სირთულეს თან ახლავს საფრთხე დიდი და აგრესიული მეზობლისაგან, რომელიც დაუოკებელი იმპერიული ამბიციების გამო, თავისუფალ სამყაროს უპირისპირდება. ასეთ დროს ქვეყანამ, ერთის მხრივ, მტკივნეულ გარდაქმნებს უნდა გაუძლოს და, ამასთანავე, გარე აგრესიას გადაურჩეს. ალტერნატივა - დაყვავება და დანებებაა, რაც გამორიცხავს ქვეყნის დამოუკიდებლობას და განვითარებას. მესამე გზა არ არსებობს: ან გაძლება და სამშვიდობოს გასვლა, ან უარი თავისუფლებაზე. სწორედ ამიტომ სჭირდება დღევანდელ საქართველოს იმ მეგობარ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირი, ვისთანაც ფუნდამენტურ ღირებულებებს იზიარებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავისუფალმა სამყარომ დაინახა ლიბერალური და დემოკრატიული ფასეულობების გარშემო კონსოლიდირების აუცილებლობა. შეიქმნა გაერთიანებებები, რომლებიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდნენ მსოფლიოში დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებების და ადამიანის უფლებების დაცვის მთავარ დასაყრდენად - ესენია ევროკავშირი და ნატო (NATO).

ამ სტრუქტურებში ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის განვითარების მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს, რადგან ეს საქართველოს არამარტო უსაფრთხოების არამედ ეკონომიკური განვითარების და კეთილდღეობის უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებას იძლევა. თავის დროზე, ნატოს შექმნისას მთავარი მიზანი ევრო-ატლანტიკურ სივრცის „ბოროტების იმპერიისაგან“ დაცვის გარდა საერთო ფასეულობების განმტკიცება იყო. ამ ორგანიზაციამ შექმნა ის ევროპა, რომელსაც დღემდე ვიცნობთ: ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი. ცივი ომის შემდეგ ნატოს შემდგომმა გაფართოებამ უზრუნველყო ახალი წევრების თავისუფლება და კეთილდღეობა.

თავისუფალ ერთა ამ დიდმა ოჯახმა, რომელსაც მსოფლიო ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელით იცნობს, საქართველოს განუცხადა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება მისი წევრი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი სამშობლო მშვიდი და უწყვეტი განვითარებისთვის აუცილებელ დაცულ გარემოს, ხოლო მისი თითოეული მოქალაქე კეთილდღეობისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვისათვის აუცილებელ პირობას მიიღებს.

ასევეა ევროკავშირის მიმართულებითაც - 2014 წელს გაფორმებულმა ასოცირების შეთანხმებამ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ახალი ფურცელი გადაშალა საქართველოს ევროპულ ოჯახში გაერთიანების მიმართულებით. მიუხედავად იმისა რომ ეს შეთანხმება არ შეიცავს საქართველოს ევროკავშირში წევრობის კონკრეტულ ვალდებულებას, ის გზას გვიხსნის ყველა მიმართულებით ინტეგრაციის უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად.

NATO-სა და ევროკავშირში არის ჩვენი ბუნებრივი ადგილი, სადაც თანამოაზრეებთან გვერდი-გვერდ უნდა ვაშენოთ ჩვენი და ჩვენი შვილების მშვიდობიანი და ბედნიერი მომავალი. ეს მომავალი აწმყოდ რომ ვაქციოთ, აუცილებელია საქართველოს ყოველი მოქალაქის პირადი მხნეობა და ყოველდღიური ძალისხმევა.

ჩვენ, ამ დეკლარაციაზე ხელმომწერნი ვაცხადებთ, რომ:

- თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს მშვიდობიანი განვითარების საუკეთესო გზა ქვეყნის ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში და ევროკავშირში წევრობაა.
- ჩვენი მიზანია თავისუფალი, დამოუკიდებელი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრულ პატივისცემაზე დაფუძნებული, ეფექტიანი დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე სახელმწიფოს მშენებლობა.
- ყოველივე ამისთვის არ დავზოგავთ ჩვენს ძალისხმევას და მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ერთმანეთთან, რათა დავაჩქაროთ საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში სრული ინტეგრაცია.